ქობულეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის

ბ რ ძ ა ნ ე ბ ა N 01-17/13

05/08/2016

13-02-4-201608051523

ქ.ქობულეთი

ბათუმის საქალაქო სასამართლოს 2015 წლის 12 ივნისი N 3-36/15
გადაწყვეტილების აღსრულების მიზნით ადმინისტრაციული წარმოების
დაწყების თაობაზე

2015 წლის 26 იანვარს შუშანა კეკელიძემ, გულიკო შაინიძემ, ლუბა გორგილაძემ, ნათელა ფუტკარაძემ, ეთერ ბეჟანიძემ, გულიკო მიქელაძემ, დარიკო კაზარიანმა, მერი თავდგირიძემ, მზიური დავითაძემ, ჟუჟუნა დევაძემ, ნუგზარ ბეჟანიძემ, სულიკო ბოლქვაძემ და თემურ რომანაძემ სასარჩელო განცხადებით მიმართეს ბათუმის საქალაქო სასამართლოს, მოპასუხის - ქობულეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს მიმართ.

მოსარჩელეებმა მოპასუხისთვის მათი კომპენსაციის მიმღებ ბენეფიციართა სიაში შეყვანისა და საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტისთვის დაზუსტებული სიის გადაგზავნის დავალება მოითხოვეს.

ბათუმის საქალაქო სასამართლოს 2015 წლის 2 ივნისის სასამართლო სხდომაზე სარჩელის ტრანსფორმაციის შედეგად მოსარჩელეებმა მოითხოვეს ქობულეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის №01-27/1843 წერილის, როგორც უკანონო ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის ბათილად ცნობა და ქობულეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოსთვის ქობულეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ქონების მართვისა და აგრარულ საკითხთა კომისიისთვის ახალი აქტის გამოცემის დავალება ქობულეთის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე შემოვლითი გზის არეალში მოხვედრილ ბენეფიციართა ანაზღაურების უფლების მქონე პირთა სიაში შუშანა კეკელიძის, გულიკო შაინიძის, ლუბა გორგილაძის, ნათელა ფუტკარაძის, ეთერ ბეჟანიძის, გულიკო მიქელაძის, დარიკო კაზარიანის, მერი თავდგირიძის, მზიური დავითაძის, ჟუჟუნა დევაძის, ნუგზარ ბეჟანიძის, სულიკო ბოლქვაძის და თემურ რომანაძის შეყვანის თაობაზე.

ბათუმის საქალაქო სასამართლოს 2015 წლის 12 ივნისის გადაწვეტილებით შუშანა კეკელიძის, გულიკო შაინიძის, ლუბა გორგილაძის, ნათელა ფუტკარაძის, ეთერ ბეჟანიძის, გულიკო მიქელაძის, დარიკო კაზარიანის, მერი თავდგირიძის, მზიური დავითაძის, ჟუჟუნა დევაძის, ნუგზარ ბეჟანიძის, სულიკო ბოლქვაძის და თემურ რომანაძის სარჩელი დაკმაყოფილდა ნაწილობრივ; ბათილად იქნა ცნობილი ქობულეთის მუნიციპალიტეტის 2014 წლის 10 დეკემბრის №01-27/1843 გადაწყვეტილება შუშანა კეკელიძის, გულიკო შაინიძის, ლუბა გორგილაძის, ნათელა ფუტკარაძის, ეთერ ბეჟანიძის, გულიკო მიქელაძის, დარიკო კაზარიანის, მერი თავდგირიძის, მზიური დავითაძის, ჟუჟუნა დევაძის, ნუგზარ ბეჟანიძის, სულიკო ბოლქვაძის და თემურ რომანაძის 2014 წლის 10 დეკემბრის №01-33/84 განცხადების განუხილველად დატოვების თაობაზე; მოპასუხეს - ქობულეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

ქობულეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ქონების მართვისა და აგრარულ საკითხთა კომისიას დაევალა ამ გადაწყვეტილებაში მითითებული, საქმისთვის არსებითი მნიშვნელობის მქონე გარემოებების სრულყოფილი გამოკვლევისა და შეფასების შემდეგ შესაბამისი ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის (გადაწვეტილების) გამოცემა ქობულეთის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე შემოვლითი გზის არეალში მოხვედრილ ბენეფიციართა ანაზღაურების უფლების მქონე პირთა სიაში შუშანა კეკელიძის, გულიკო შაინიძის, ლუბა გორგილაძის, ნათელა ფუტკარაძის, ეთერ ბეჟანიძის, გულიკო მიქელაძის, დარიკო კაზარიანის, მერი თავდგირიძის, მზიური დავითაძის, ჟუჟუნა დევაძის, ნუგზარ ბეჟანიძის, სულიკო ბოლქვაძის და თემურ რომანაძის შეყვანის შესახებ.

ბათუმის სამოქალაქო სასამართლოს 2015 წლის 12 ივნისის გადაწყვეტილება სააპელაციო წესით გაასაჩივრა ქობულეთის მუნიციპალიტეტის საკრებულომ, რომელმაც გასაჩივრებული გადაწყვეტილების გაუქმება და ახალი გადაწყვეტილების გაუქმება და ახალი გადაწყვეტილებით სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარის თქმა მოითხოვა.

ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2015 წლის 21 ოქტომბრის განჩინებით ქობულეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სააპელაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდა. უცვლელად დარჩა ბათუმის საქალაქო სასამართლოს 2015 წლის 12 ივნისის გადაწყვეტილება.

ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2015 წლის 21 ოქტომბრის განჩინება საკასაციო წესით გაასაჩივრა ქობულეთის მუნიციპალიტეტის საკრებულომ, რომელმაც გასაჩივრებული განჩინების გაუქმება და ახალი გადაწყვეტილებით სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარის თქმა მოითხოვა.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2016 წლის 11 მაისის განჩინებით ქობულეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს საკასაციო საჩივარი მიჩნეულ იქნა დაუშვებლად.გადაწყვეტილება შესულია კანონიერ ძალაში.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 72-ე მუხლის მე-2 ნაწილის, 73-ე, 76-ე, 95-99-ე მუხლების თანახმად **ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:**

1. დაიწყოს ადმინისტრაციული წარმოება ბათუმის საქალაქო სასამართლოს 2015 წლის 12 ივნისის გადაწყვეტილების აღსრულების მიზნით;

2. ადმინისტრაციული საქმის წარმოება ჩატარდეს 2016 წლის 05-სექტემბერს 15-00 საათზე;

3. ადმინისტრაციული საქმის წარმოება განახორციელოს საკრებულოს ქონების მართვისა და აგრარულ საკითხთა კომისიის თავმჯომარემ (ვ.ქარცივაძე), იურიდიულ საპროცედურო, სამანდატო კომისიის თავმჯდომარესთან (მ.ჟორდანია) და საკრებულოს მთავარ სპეციალისტებთან (ს.ბეჟანიძე, თ.ვერულიძე) ერთად იურიდიულ საკითხებში;

4. ადმინისტრაციულ წარმოებაში მონაწილეობა ეთხოვოს მუნიციპალიტეტის გამგეობის
ადმინისტრაციული სამსახურის იურიდიული განყოფილების უფროსს (თეონა გეგიძე);

5. ადმინისტრაციულ წარმოებაში ჩაბმულ იქნას შუშანა კეკელიძე, გულიკო შაინიძემ, ლუბა გორგილაძე , ნათელა ფუტკარაძე, ეთერ ბეჟანიძე, გულიკო მიქელაძე, დარიკო კაზარიანი, მერი თავდგირიძე, მზიური დავითაძე, ჟუჟუნა დევაძე, ნუგზარ ბეჟანიძე, სულიკო ბოლქვაძე და თემურ რომანაძე, ასევე მოწვეულ იქნას დაბა ჩაქვის ყოფილი ტერიტორიული ორგანოს რწმუნებული როინ ცინცაძე და გამგებლის რწმუნებული დაბა ჩაქვში გელა ქობულაძე.

6. განემარტოს ადმინისტრაციულ წარმოებაში მონაწილე მხარეს, რომ უფლება აქვთ 2016 წლის 2 სექტემბერს 13-00 საათამდე წარმოადგინოს საკუთარი მოსაზრებები

და მტკიცებულებები, შემდეგ მისამართზე: ქობულეთი, დავით აღმაშენებლის გამზირი №141. (მუნიციპალიტეტის საკრებულოს კანცელარია) დაინტერესებული მხარის მიერ საკუთარი მოსაზრებების (მტკიცებულებების) წარმოუდგენლობა არ დააბრკოლებს საქმის გადაწყვეტას;

7. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს ბათუმის საქალაქო სასამართლოში ერთი თვის ვადაში (მისამართი: ქ. ბათუმი, ზუბალაშვილის ქ. №30)

სულხან ოქროპირიძე

საკრებულოს თავმჯდომარე

ხელმძღვანელობა